

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

**„საქართველოს რკინიგზა“**

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

2007 წ. <sup>29</sup> 03

ქ. თბილისი

№ 184/3

„საქართველოს რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის ტარიფებისა და დამატებითი საფასურების დაწესების შესახებ“ გენერალური დირექტორის 2006 წლის 1 ივნისის № 311/გ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 64-ე მუხლის შესაბამისად, დირექტორთა საბჭოს 2007 წლის 24 მარტის №3/8 დადგენილების შესრულების მიზნით,

**ე ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. გენერალური დირექტორის 2006 წლის 1 ივნისის №311/გ ბრძანებით დამტკიცებული „სატვირთო გადაზიდვების ტარიფები და დამატებითი საფასურები“-ს მე-V მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ტარიფების საბაზო განაკვეთების მიმართ ვრცელდება კოეფიციენტი 0.5, გარდა გადაზიდვებისას სადგურებიდან ბათუმი, ფოთი სადგურ სადახლოს გავლით და სადგურ სადახლოს გავლით სადგურ ბათუმამდე, ფოთამდე, სადგურებიდან ბათუმი, ფოთი სადგურ სადახლოს გავლით და სადგურ სადახლოს გავლით სადგურ ბათუმამდე, ფოთამდე „ნავთობისა და ნავთობპროდუქტების“ სავაგონო გადაზიდვისას ვრცელდება კოეფიციენტი 0.76, ხოლო დანარჩენი ტვირთის გადაზიდვისას კი -0.83. იგივე ვრცელდება ბორნიდან შემოსულ/გასულ ტვირთებსზე. ეს კოეფიციენტები გამოიყენება ტვირთის გადამისამართების შემთხვევაშიც, შესაბამისად გამავალი და საბოლოო სადგურების გათვალისწინებით, თითოეული გადაზიდვის საბუთის მიმართ.“

2. შესაბამისი ცვლილებები განხორციელდეს მოქმედ პროგრამულ სისტემაში.

3. ბრძანება ეცნობოს შემსრულებლებს, ტვირთმფლობელებს, ექსპედიტორებს.

4. ბრძანების შესრულების კონტროლი დაევალოს სატვირთო გადაზიდვების დირექტორს ბატონ დ. ჯინჯოლიას.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს ა/წ 1 აპრილიდან.

გენერალური დირექტორის  
მოვალეობის შემსრულებელი

დ. ჯინჯოლია

კმ 1/267

თბილისი, შპს „საქართველოს რეინიგზა“ № 2952 30-04. 2007

კომერციული სამსახური, დ/შ  
ყველა დს-განმკარგულებელი

ასლი : სგდ, სტს, ვი, ოკც, ხად, რეფც.  
ინფორმაციული აღრიცხვის განვითარების ცენტრი

ტვირთის გადამისამართების შემთხვევაში ფოთის, ბათუმისა და სადახლოს სადგურების მონაწილეობით, გენერალური დირექტორის 2007 წლის 29 მარტის №187/გ ბრძანებით დადგენილ წესთან დაკავშირებით გაგინმარტავთ, რომ პროგრამულ სისტემაში შესაბამისი ცვლილების განხორციელებამდე მოქმედებს შემდეგი დროებითი პროცედურა:

1. გადამისამართების განმცხადებელი, კლიენტის მომსახურების ცენტრში, წარმოადგენს ძველი გადაზიდვის საბუთების ქსეროასლებს, რომლებიც გადაუგზავნება დარიცხვისა და შემოსავლების სამსახურს. თავის მხრივ, აღნიშნული სამსახური მოახდენს ძველი გადაზიდვის საბუთების კორექტირებას, გამოწერს ტარიფების სხვაობის ვაუჩერს და მას შესაბამისად ასახავს პროგრამულ სისტემაში.

2. კლიენტის მომსახურების ცენტრი, ახალი გადაზიდვის განხორციელების მიზნით, გამოწერს წინასწარ ანგარიშ-ფაქტურას მიმართულების კოეფიციენტ 0,5-ის გათვალისწინებით და აღნიშნულს გადაუგზავნის დარიცხვისა და შემოსავლების სამსახურს. თავის მხრივ, აღნიშნული სამსახური გამოწერს ტარიფების სხვაობის ვაუჩერს და მას შესაბამისად ასახავს პროგრამულ სისტემაში. ამ პროცედურების შემდეგ კლიენტის მომსახურების ცენტრი გამოწერს ახალ წინასწარ ანგარიშ-ფაქტურას და განახორციელებს გადაზიდვის დავალების გაცემას, სადაც შენიშვნაში დამატებით მიუთითებს ძველი და ახალი ვაუჩერების ნომრებს შესაბამისი თანხებით.

აღნიშნული მიიღეთ სახელმძღვანელოდ, დაიყვანეთ შემსრულებლებამდე (მათ შორის მიწერილ სადგურებამდე), ტერმინფლობულებამდე, ექსპედიტორებამდე.

დ. ჯინჯოლია

სატვირთო გადაზიდვების  
დირექტორი

დ. ჯინჯოლია